ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული კრიზისების მართვის სტრატეგიები იმპორტდამოკიდებულ მცირე და საშუალო ბიზნესში საქართველოში

გიორგი შაღიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა თავდიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აქვე აღვნიშნავ, რომ ნაშრომზე მუშაობის ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის ფორმატირების ეტაპზე გამოყენებული იყო ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი მხოლოდ ტექსტის სტილისტური და ტექნიკური რედაქტირების მიზნით, რაც გავლენას არ ახდენს კვლევის შინაარსსა და მიღებულ შედეგებზე”.

გიორგი შაღიაშვილი

21.06.2026

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია 2020-2025 წლებში ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული კრიზისის მართვის სტრატეგიები იმპორტზე დამოკიდებულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. განსაკუთრებით ღია ეკონომიკაში მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების ეკონომიკური საქმიანობა მეტად კონკურენტულია. მსგავსი ტიპის ბიზნესებს უწევთ გამკლავება შეზღუდული რესურსებით და კრიზისულ სიტუაციას მათზე მყისიერად აქვს გავლენა. არსებითად მნიშვნელოვანია სტრატეგიების მიზნობრივი აღქმა და ცოდნა რომ ბიზნესები გაუმკლავდნენ წარმოქმნილ კრიზისულ სირთულეებს.

გამომდინარე იქიდან, რომ სისტემურად ნაკლებადაა შესწავლილილი მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან კრიზისებზე რეაგირების და მართვის პრაქტიკა საქართველოში, კვლევა მატებს ცოდნას და გამოცდილებას ამ მიმართულებით. საკვლევ საგანს წარმოადგენს ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეულ კრიზისების პერიოდში, მენეჯერული მართვის სტრატეგიების და მათი გავლენის შესწავლა იმპორტდამოკიდებულ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის ლიკვიდურობაზე საქართველოში.

კვლევა კონცენტრირებულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების ლიკვიდურობის შეფასებაზე, სავალუტო მერყეობის გავლენით, იმპორტის ხარჯების ზრდითა და დაკრედიტების პირობების შეზღუდვა/გაძვირებით. ამასთანავე, აიდენტიფიცირებს იმ მიზნებსა და სტრატეგიებს, რომლითაც მოქმედებდნენ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები კრიზისულ სიტუაციაში ლიკვიდურობის რისკების შესამცირებლად.

კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდოლოგიით. კვლევის ფარგლებში გამოკითხულები არიან „საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის“ ეკონომიკური საქმიანობის სექციის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ძირითადად თბილისის არეალში, სადაც გამოიკითხა ჯამში 274 მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი (შერჩევა პოპულაციის 95%-იანი

სანდოობითა და 6%-იანი ცდომილების ზღვრით). თვისებრივ კვლევაში კი ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ საკვლევი თემისთვის განსაზღვრულ რესპოდენტებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვალუტის კურსის მერყეობამ, იმპორტირების ხარჯებმა და დაკრედიტებამ, განსაკუთრებით 2020-დან საწყის წლებში, გაართულა ლიკვიდურობა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებში. მიგნებები ადასტურებს, რომ მფლობელებმა და მმართველმა მენეჯერებმა გამოიყენეს კომბინირებული სტრატეგიები, რათა შეემსუბუქებინათ ლიკვიდურობის რისკები. აგრეთვე მიგნებებით შესაძლებელია ითქვას, რომ კრიზისის საპასუხოდ მიზანმიმართული სტრატეგიები, მმართველი რგოლისგან ფინანსური ცოდნა და საფინანსო წყაროსთან სწორი ურთიერთობა ამცირებს ლიკვიდურობის რისკებს ეკონომიკურ გარემოში საქართველოში.

მიღებულ შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია იმპორტზე დამოკიდებული მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, მისი მმართველი რგოლისთვის. ვინაიდან აჩვენებს, რომ ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ლიკვიდურობის რისკების მართვა მხოლოდ ფინანსურ რესურსებზე წვდომას არ უკავშირდება და მოითხოვს სწორი მიზნობრიობით შერჩეულ დროულ მენეჯერულ რეაგირებასაც. მიღებული მიგნებები წარმოაჩენს ლიკვიდურობის რისკების შესამცირებელ ნაბიჯებს. შესაბამისად, კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გონივრული პრაქტიკული საფუძველი კრიზისულ სიტუაციაში სამოქმედო სტრატეგიების მისაღებად და შედეგიანობის გასაუმჯობესებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეკონომიკური არასტაბილურობა; მცირე და საშუალო საწარმო; კრიზისების მართვის სტრატეგიები; ლიკვიდურობის რისკები; გაცვლითი კურსის ცვალებადობა;

Abstract

The paper discusses crisis management strategies for import-dependent small and medium-sized enterprises in the period 2020-2025 caused by economic instability. Especially in an open economy, the economic activity of small and medium-sized businesses is highly competitive. Such businesses have to cope with limited resources and the crisis situation has an immediate impact on them. It is essential to have a targeted perception of strategies and knowledge so that businesses can cope with the emerging crisis difficulties.

Given that the practice of crisis response and management by SME businesses in Georgia has not been systematically studied, the study adds to the knowledge and experience in this area. The subject of the study is the study of managerial management strategies and their impact on the liquidity of import-dependent small and medium-sized businesses in Georgia during crises caused by economic instability.

The study focuses on assessing the liquidity of small and medium-sized businesses, affected by currency fluctuations, rising import costs, and restrictive/expensive lending conditions. It also identifies the objectives and strategies that small and medium-sized businesses used to mitigate liquidity risks in a crisis situation.

The study was conducted using a mixed methodology. Small and medium-sized businesses of the economic activity section "Wholesale and retail trade; repair of automobiles and motorcycles" were interviewed within the scope of the research. Quantitative research was conducted mainly in the Tbilisi area, where a total of 274 small and medium-sized businesses were surveyed (a population sample with 95% Confidence level and 6% margin of error). In the qualitative research, 5 in-depth interviews were conducted with the respondents determined for the research topic.The study found that exchange rate fluctuations, import costs, and credit in the early years significantly complicated liquidity in SME's. At the same time, managers used combined strategies to mitigate liquidity risks.

The study found that exchange rate volatility, import costs, and credit, especially in the early years of 2020, have complicated liquidity in small and medium-sized businesses. The findings confirm that owners and managers have used a combination of strategies to mitigate liquidity risks. The findings also suggest that targeted crisis response strategies, financial literacy from management, and the right relationship with the source of finance reduce liquidity risks in the economic environment in Georgia.

The obtained results have practical significance for import-dependent small and medium-sized businesses, for their management. Since they show that managing liquidity risks in conditions of economic instability is not only related to access to financial resources and requires timely managerial responses selected with the right focus. The obtained findings indicate steps to reduce liquidity risks. Accordingly, the study can be used as a reasonable practical basis for adopting action strategies in a crisis situation and improving efficiency.

Keywords: economic instability; SME; crisis management strategies; liquidity risks; exchange rate volatility;

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, თეონა თავდიშვილს პროფესიონალური მხარდაჭერის, გაწეული დახმარებისა და სრულყოფილი უკუკავშირებისთვის ნაშრომის მომზადების განმავლობაში.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისა და გაწეული დახმარებისთვის.